ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8110224

ნომერი: AR11162903

თარიღი : 28.09.2026

გაცემის თარიღი : 06.10.2026

გაცნობის თარიღი : 06.10.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N 46, კორპუსი N1; კორპუსი N2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინე ბალავაძე პ/ნ 01010006901
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 43

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 9 ივლისის №7997773 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 28 სექტემბერს №AR11162903 განცხადებით მომართა ირინე ბალავაძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 9 ივლისის

№7997773 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 9 ივლისის №7997773 ბრძანებით, №01.14.06.006.169 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (B-3 სექტორი A1) და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2026 წლის 9 ივლისის №7997773 ბრძანებით შეთანხმებული ფასადის, ჩანაცვლება წარმოდგენილი გასწორებული ფასდით.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა 2026 წლის 9 ივლისის №7997773 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ „27-21“ ფასადი „24-23“ და „22-21“ ღერძებში ფანჯრის ღიობი მოყვანილ იქნა შესაბამისობაში შეთანხმებულ +3.45 ნიშნულის გეგმაზე „21-24“ ღერძებში მითითებულ ღიობებთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 9 ივლისის №7997773 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 9 ივლისის №7997773 ბრძანებაში და ბრძანებით შეთანმხებული კორექტირებული ფოტომონტაჟის მესამე გვერდი, ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული კორექტირებული ფოტომონტაჟის მეორე გვერდით; შეთანხმებული სავიზიტო ფოტოების მესამე და მეოთხე გვერდები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული სავიზიტო ფოტოების მეხუთე და მეექვსე გვერდებით; შეთანხმებული „27-21“ ფასადი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული „27-21“ ფასადით.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 9 ივლისის №7997773 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.